KA021750627095817

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/36626

20 / ივლისი / 2017 წ.

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირს
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49ა
ალტ მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N89

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) შემოსული თქვენი 2017 წლის 28 ივნისის N600/02 წერილით (სააგენტოს რეგისტრაციის თარიღი: 29.07.2017 წ. N56581/ფ) წარმოდგენილი შპს „ბიდიოს" 2017 წლის 28 ივნისის დასკვნისა და სააგენტოსა და ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირს" (შემდგომში - კავშირი, ს/კ 204874911) შორის 2016 წლის 5 ოქტომბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) 3.1.3 მუხლის საფუძველზე გიდასტურებთ ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილებით შესრულებას.

აქვე, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული წერილით მოთხოვნილი, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის დარღვევით შესრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ამასთან, წინამდებარე წერილი არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საკითხის დადებითად გადაწყვეტის გარანტია, შესაბამისად კავშირის მიერ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, რომელიც შეიძლება გახდეს ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის" კანონიერი ნდობისა და აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ან/და სხვა მოთხოვნის უფლების წარმოშობის საფუძველი.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1882 2017 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

21393/01
"12" 09 2017

ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი (ს/კ: 204874911) გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირს შორის 2015 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.1 და 3.1.3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულებისათვის ამავე ხელშეკრულების 5.3 და 5.4 მუხლების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

ა(ა)იპ "საქართველოს რაგბის კავშირი"

ანგარიში კავშირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შესახებ

დამოუკიდებელი აუდიტორის რწმუნების დასკვნასთან ერთად

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის რწმუნების დასკვნა 3
დანართი #1 5

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის რწმუნების დასკვნა

ა(ა)იპ "საქართველოს რაგბის კავშირის" ხელმძღვანელობას

გარიგების საგანი

გარიგების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ "საქართველოს რაგბის კავშირის" (შემდგომში, ,,კავშირი") მიერ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან (შემდგომში, ,,სააგენტო") 2015 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში, „ნასყიდობის ხელშეკრულება") მესამე მუხლის 3.1.1 პუნქტის შესაბამისად, კავშირის მიერ შემდეგი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრების გამოხატვა:

- 3.1.1. „ხელშეკრულების" პირველ მუხლში მითითებულ „ქონებაზე" (ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89_ში მდებარე 2,139 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N01.11.05.027.010) პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით 2017 წლამდე უზრუნველყოს 1,200 მაყურებელზე გათვლილი დამატებითი ტრიბუნის (სველი წერტილებით) აშენება.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

მენეჯმენტი პასუხისმგებელია, ნასყიდობის ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტოს მიერ გადაცემულ ქონებაზე უზრუნველყოს დამატებითი ტრიბუნის მოწყობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა და მარწმუნებელი სტანდარტი

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, დავგეგმოთ და ჩავატაროთ მარწმუნებელი სამუშაოები და ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, გამოვთქვათ რწმუნების მოსაზრება.

გარიგების შედგენისას, ვიხელმძღვანელეთ მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტით (ISAE) 3000 (განახლებული): „მარწმუნებელი გარიგება ისტორიული ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა", რომელიც გამოცემულია საერთაშორისო აუდიტისა და მარწმუნებელი სტანდარტების საბჭოს მიერ. აუდიტის ჯგუფის წევრებს გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, უნარები და პროფესიული კვალიფიკაცია, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვით, განახორციელონ მარწმუნებელი მომსახურება.

ჩვენ დავგეგმეთ და განვახორციელეთ სამუშაოები მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტით (ISAE) 3000 (განახლებული), რათა გამოგვეთქვა მოსაზრება, კავშირის მიერ გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.

მოსაზრების გამოსახატავად, ჩავატარეთ ანალიტიკური და სხვა ძირითადი პროცედურები. სამუშაო პროცესში, ჩვენ გავეცანით:

ა) 2015 წლის 5 ოქტომბერს კავშირსა და სააგენტოს შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებას;

ბ) ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულების შესაბამისად მოვახდინეთ მყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების ფიზიკური დათვალიერება

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

დასკვნა

ჩატარებული პროცედურებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, ჩვენი მოსაზრებით, ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში, 3.1.1 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, კავშირმა, სააგენტოს მიერ გადაცემულ, ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89_ში მდებარე 2,139 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი N01.11.05.027.010) ნაკვეთზე, 2017 წლის 31 მაისის მდგომარეობით ააშენა 1,200 მაყურებელზე გათვლილი დამატებითი ტრიბუნა (სველი წერტილებით).

28 ივნისი, 2017

დანართი #1

2017 წლის 14 ივნისისთვის ქ. თბილსში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე 2,139 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.027.010) ნაკვეთის და მასზე აშენებული დამატებითი ტრიბუნის (სველი წერტილებით) ამსახველი ფოტოები















